

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ,, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის თაობაზე

2004 წლის 17 თებერვალს მიღებული პარლამენტის რეგლამენტის მოქმედების ერთწლიანი გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არა მარტო თვალნათლივ წარმოეჩინა მასში არსებული ხარვეზები და მთელი რიგი რედაქციული უზუსტობანი, არამედ დაესვა რეგლამენტის ცალკეული ნორმების ხელახალი გადახედვის საკითხი. აღნიშნულმა კი დღის წესრიგში დააყენა რეგლამენტის მეტნაკლებად ძირეული გადასინჯვა და მასში იმ სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც უფრო ქმედითსა და ნაყოფიერს გახდიდა საპარლამენტო მუშაობასათვის. ეს შეეხება რეგლამენტის სხვადასხვა ნორმებს, კერძოდ: პარლამენტის სუბიექტებსა და მათ უფლებამოსილებებს, პარლამენტის მუშაობის წესს, საკანონმდებლო პროცესსა და ა.შ.

სწორედ ზემოაღნიშნული დაედო საფუძვლად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე პროექტში. კერძოდ:

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების თანახმად არ არის სავალდებულო პარლამენტის თანხმობა პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. აქედან გამომდინარე პროექტით რეგლამენტის 19-ე მუხლის პირველი პუნქტი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციასთან.

რეგლამენტის 22-ე მუხლს ემატება 3<sup>1</sup> პუნქტი, რომლის შესაბამისად „პარლამენტის წევრს, უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ, შეიძლება მიეცეს შვებულება (ანაზღაურების გარეშე) არა უმეტეს 3 თვისა. აღნიშნულ შემთხვევაში შვებულების თაობაზე, პარლამენტის წევრის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით გადანყვეტილებას იღებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შვებულების პერიოდში პარლამენტის წევრს არ მიეცემა ხელფასი და უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება,„.

ცვლილებები განიცადა რეგლამენტის იმ მუხლმაც, რომელიც ითვალისწინებს კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის წესს. კერძოდ, გათვალისწინებულია კენჭისყრის პროცედურის შეწყვეტა იმ შემთხვევაში თუ კომიტეტის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი მოაგროვებს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობას.

რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს დროებითი კომისიის შექმნის საფუძველს, ემატება „გ,, ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დროებითი კომისია იქმნება საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შემოწმების მიზნით. აღნიშნულს ითვალისწინებს კანონი საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ.

პროექტის მე-12 პუნქტით რეგლამენტის 72-ე მუხლის „ა,, ქვეპუნქტით შექმნილი დროებითი კომისიისათვის სავალდებულო ხდება განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა პარლამენტისთვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც კომისიას ვადა ამოწურება ან/და გაგრძელდება მისი უფლებამოსილება.

პროექტით ზუსტდება პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი.

მე-16 პუნქტით რეგულირდება პარლამენტის ბიუროს სხდომების დახურვის პროცედურა. კერძოდ, ბიუროს სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუ ამას მოითხოვს ბიუროს წევრი და მის მოთხოვნას მხარს დაუჭერს ბიუროზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ბიუროს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს ადგენს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს პროექტის მე-19 პუნქტი. როგორც პარლამენტის სასესიო მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, სისტემატიურად ადგილი აქვს სხდომის გახსნის შემდეგ პარლამენტის წევრთა მიერ განცხადებებით გამოსვლას. სწორედ აღნიშნულის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევას ისახავს მიზნად რეგლამენტისათვის XIX<sup>1</sup> თავის დამატება 'განცხადებები'. კერძოდ, პლენარული სხდომის კვირის ყოველ სამშაბათს დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პარლამენტის წევრებს ამ თავით დადგენილი წესით ეთმობათ 30 წუთი განცხადებებისათვის, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს კიდევ 30 წუთით. ამ თავითვეა დეტალურად რეგლამენტირებული აღნიშნული პროცედურის განხორციელების წესიც.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკანონმდებლო პროცესის კარმა. უპირველეს ყოვლისა დაზუსტდა საკანონმდებლო პროცესის არსი. კერძოდ იგი გულისხმობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, პარლამენტში წარდგენას, პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, პრეზიდენტის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს მიღებული კანონპროექტი, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით საორგანიზაციო დეპარტამენტმა კანონპროექტი შესაბამისი გადანყვეტილების პროექტი ბიუროს სხდომას უნდა გადასცეს არა უგვიანეს მის ჩატარებამდე 72 საათისა.

როგორც ცნობილია, რეგლამენტის შესაბამისად კანონპროექტის მეორე მოსმენით მუხლობრივი განხილვა კომიტეტში ხორციელდება და პლენარულ სხდომაზე ხდება მხოლოდ მისი მეორე მოსმენით კენჭისყრა. პროექტის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კანონპროექტის მეორე მოსმენით მუხლობრივმა განხილვამ გადაინაცვლა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რაც უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერი იქნება კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის. სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ პროექტით კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას ჩავარდნილად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მესამე მოსმენით არ მიღების შესახებ. თუ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენისას ჩავარდნილი კანონპროექტი ერთი თვის განმავლობაში ინიციატორის მოთხოვნით არ დადგება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე კანონპროექტი უარყოფილად ჩაითვლება. ასევე უარყოფილად ჩაითვლება კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრების შედეგად ერთი სესიის 3 ჯერ ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას.

ნოვაციას წარმოადგენს ისიც, რომ პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას, აუცილებლობის შემთხვევაში, მომხსენებლის ან თანამომხსენებლის მოტივირებული წინადადების საფუძველზე, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს დადგენილებით გადანყვეტილება მესამე მოსმენიდან

კანონპროექტის მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვის სტადიაზე დაბრუნების შესახებ. ზემოაღნიშნული კი უფრო მოქნილსა და ხარისხიანს გახდის პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას. სიახლეა ასევე ისიც, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის (ან სხვა აქტის პროექტის) განხილვის დაწყებისას სხდომათა დარბაზში მომხსენებლის ან/და თანამომხსენებლის არ ყოფნის შემთხვევაში კანონპროექტი (ან სხვა აქტის პროექტი) იხსნება პლენარულის სხდომის იმ კვირის დღის წესრიგიდან და გადადის მომდევნო პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი. განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს კანონპროექტის შესახებ აუცილებელ და ამომწურავ ინფორმაციას, თუ რაში მდგომარეობს კანონპროექტის მიღების მიზანი და მიზეზი, აქვე უნდა იყოს აღნიშნული, თუ რა საფინანსო-ეკონომიკური შედეგი მოჰყვება მის მიღებას. როგორც განვლილმა პრაქტიკამ დაგვანახა აღნიშნულ დოკუმენტთან უყურადღებოდ დამოკიდებულებამ თავის მხრივ ასახვას ჰპოვა კანონპროექტის შემდგომ ხარისხზე, რაც თავის მხრივ მასში გამუდმებული ცვლილებებისა და დამატებების განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილების შესწავლამ ცხადყო აუცილებელია დეტალურად იქნეს ჩამოყალიბებული ის სავალდებულო ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს განმარტებითი ბარათი. სწორედ აღნიშნულს ემსახურება პროექტის მე-24 პუნქტი.

გარდა ამისა, პროექტის მიხედვით, ხდება კანონპროექტისა და ალტერნატიული წინადადების პარლამენტში მოძრაობის პროცედურის ზუსტი და დეტალური რეგლამენტირება. აქვე განერილია აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და 30 000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე მომხსენებლისა და თანამომხსენებლის დანიშვნის წესიც.

პროექტით დაზუსტდა ასევე კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების პროცედურა. რეგლამენტი არ ითვალისწინებდა ასევე პარლამენტის მიერ მისაღები დადგენილებების კომიტეტებში განხილვის წესს, შემოთავაზებულმა პროექტმა კი აღნიშნული გაითვალისწინა.

წარმოდგენილი პროექტის 42-ე პუნქტით ცვლილებები განიცადა რეგლამენტის იმ ნორმებმაც, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცედურებს. დარეგულირდა აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვის პროცედურებიც. როგორც ცნობილია რეგლამენტით არ იყო გათვალისწინებული თუ რა ვადებში უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა. სწორედ აღნიშნულს ემსახურება ზემოაღნიშნული დამატება.

რიგი დაზუსტებები განიცადა რეგლამენტის იმ მუხლებმა, რომლებიც ითვალისწინებენ პარლამენტის ურთიერთობას მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

რეგლამენტს ემატება ახალი XXXIV<sup>1</sup> თავი, რომლის ძალითაც კომიტეტის თავმჯდომარეებმა ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე პარლამენტს უნდა წარუდგინონ განუყოფელი საქმიანობის წერილობითი ანგარიში.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს პროექტის 54-ე პუნქტის დამატება. კერძოდ სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების მიზნით პარლამენტში დადგენილებით იქმნება

მეგობრობის ჯგუფები. მეგობრობის ჯგუფის შემადგენლობას, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით დადგენილებით დაამტკიცებს პარლამენტი.

პროექტის 59-ე პუნქტი ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში პარლამენტის წარმომადგენლობების შექმნას. აღნიშნული მოემსახურება ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობას, ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზებას, ამომრჩევლებთან და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან პარლამენტის ურთიერთობის და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა საქმიანობის კოორდინაციას.

პროექტის 64-ე პუნქტით პარლამენტის წევრს, რომელიც პლენარულ სხდომათა დარბაზში ჩაიდენს ფიზიკურ ძალადობას, მას სხდომათა დარბაზის დატოვებასთან ერთად სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად დაუკავდება ხელფასის 50%. პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე იმ პარლამენტის წევრს, რომელსაც ევალება სხდომაზე კანონპროექტის წარდგენა და მისი წარდგენის დროს არ იმყოფება სხდომის დარბაზში. ამ შემთხვევაში მას დაუკავდება ხელფასის 10%.

პროექტით შემოთავაზებული რიგი ცვლილებები ითვალისწინებს რეგლამენტის ცალკეული ნორმების რედაქციულ დაზუსტებას.

პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.

**saqarTvelos kanoni**

**`saqarTvelos parlamentis komitetebis Sesaxeb~ saqarTvelos  
kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze**

muxli 1. Zaladakargulad iqnes cnobili saqarTvelos 1995 wlis 1  
dekembris #13-s saqarTvelos kanoni `saqarTvelos parlamentis komitetebis  
Sesaxeb~ (saqarTvelos parlamentis uwyebani. #002, 1996w.)

muxli 2. es kanoni amoqmeddes gamoqveynebisTanave.

saqarTvelos prezidenti

mixeil saakaSvili

## ganmartebiTi baraTi

**`saqarTvelos parlamentis komitetebis Sesaxeb~ saqarTvelos  
kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze**

2004 wels miRebulma saqarTvelos parlamentis reglamentma mTlianad gaiTvaliswina da axlehuri reglamentacia moaxdina im normebisa, romlebic aregulireben komitetebis Seqmnas, maT dakompleqtebis wess, komitetis Tanamdebobis pirTa arCevasa da maTi saqmianobis wess. aqedan gamomdinare `saqarTvelos parlamentis komitetebis Sesaxeb~ saqarTvelos kanonis moqmedebam dakarga Tavisi aqTualuroba.

kanonpreqtis avtori da iniciatoria saqarTvelos parlamentis saproceduro sakiTxTa da wesebis komiteti.

*proeqti*

## **saqarTvelos kanoni**

**`saqarTvelos parlamentis droebiTi sagamoZiebo komisiis Sesaxe~  
saqarTvelos kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze.**

muxli 1. Zaladakargulad iqnes cnobili saqarTvelos 1996 wlis 17 aprilis #188\_II saqarTvelos kanoni `saqarTvelos parlamentis droebiTi sagamoZiebo komisiis Sesaxe~ (saqarTvelos parlamentis uwyebani #008, 1996w.).

muxli 2. es kanoni amoqmeddes gamoqveynebisTanave.

saqarTvelos prezidenti

mixeil saakavSili

## ganmartebiTi baraTi

**`saqarTvelos parlamentis droebiTi sagamoZiebo komisiis Sesaxeb~  
saqarTvelos kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze.**

2004 wels miRebulma saqarTvelos parlamentis reglamentma amomwuravad Camoayaliba parlamentis droebiTi sagamoZiebo komisiis Seqmnis wesi da saqmianobis pirobebi. gamomdinare iqidan rom zemoaRniSnulma kanonma dakarga Tavisi aqtualuroba mizenSewonilia igi Zaladakargulad gamocxaddes.

kanonpreqtis avtori da iniciatoria saqarTvelos parlamentis saproceduro sakiTxTa da wesebis komiteti.

*proeqti*

**saqarTvelos kanoni**

**`saqarTvelos parlamentis droebiTi komisiebis Sesaxeb~ saqarTvelos  
kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze.**

muxli 1. Zaladakargulad iqnes cnobili saqarTvelos 1997 wlis 16 seqteembris #847\_1s saqarTvelos kanoni `saqarTvelos parlamentis droebiTi komisiebis Sesaxe~ (saqarTvelos parlamentis uwyebani #41, 1997w.).

muxli 2. es kanoni amoqmeddes gamoqveynebisTanave.

saqarTvelos prezidenti

mixeil saakavSili

**ganmartebiTi baraTi**

**`saqarTvelos parlamentis droebiTi komisiis Sesaxebs saqarTvelos  
kanonis Zaladakargulad cnobis Taobaze.**

2004 wels miRebulma saqarTvelos parlamentis reglamentma amomwuravad Camoayaliba parlamentis droebiTi komisiis Seqmnis wesi da saqmianobis pirobebi. gamomdinare iqidan rom zemoaRniSnulma kanonma dakarga Tavisi aqtualuroba mizenSewonilia igi Zaladakargulad gamocxaddes. kanonpreqtis avtori da iniciatoria saqarTvelos parlamentis saproceduro sakiTxTa da wesebis komiteti.